შაბათი, აგვისტოს 23 1919 წ. ფასი 1 მ. 50 კ. № 156

წლიწადი მესამე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ქვეყანა

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

კვირას, 24 აგვისტოს საფიჩხიის სასაფლაოს ეკკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

**ევგენი ანტონის ძე კანდელაკის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ: ქვრივი ეკატერინე პეტრეს ასული, ვაჟი ვლადიმერი, დაი ივდითი დუდუჩავასი, ძმები: ეპიფანე, ილია, მღ. ბენიამენი და ვალერიანე ანტონის ძენი ოჯახობითურთ. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი კი 12-ზე. 2—2

---

გაუბედურებულნი მეუღლე კატო, შვილები: ილარიონ, ტატიანა, აკაკი, სონია, ვასო, ვალოდია და სხვ. დები, ძმები და სიძე ილია რომანიშვილი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას მათი უსაყვარლესი

**მოსე (მოსიკო) ნიკოს ძე ქლენტის**

ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება კვირას 24 აგვისტოს ნაშუადღევის 4 საათზე საკუთარი ბინიდან: ძველი თბილისის ქუჩა, მეორე შესახვევი. დაკრძალვა საფიჩხიის სასაფლაოზე. 2—1

---

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მიხეილ ნიკიფორეს ძე და ხარიტინა ვასილის ასული ბერძულები იგივე ბერძულიშვილები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ გარდაცვალებას სოფელ სიმონეთში პირველი საყვარელი მამისა და მეორე ძვირფასი მამამთილისა

**ნიკიფორე დიმიტრის ძის ბერძულისას იგივე ბერძულიშვილისას,**

რომლის სულის მოსახსენებლად კვირას 24 აგვისტოს დილის ათ საათზე ქუთაისის საკათედრო სობოროში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი; პანაშვიდი დაიწყება ნაწირვებს დღის 12 საათზე. 2—1

---

ღრმად დამწუხრებული ილარიონ ქლენტი მეუღლით ლოლათი აუწყებს საზოგადოებას უსაყვარლესი მამის

**მოსე (მოსიკო) ნიკოს ძე ქლენტის**

ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება კვირას, 24 აგვისტოს ნაშუადღევის 4 საათზე საკუთარ ბინიდან: ძველი თბილისის ქუჩა, მეორე შესახვევი. დაკრძალვა საფიჩხიის სასაფლაოზე. 1—1.

---

ნადეჟდა ივანეს ასული ბუზოლლისა და მიხეილ ვართანის ძე ბუზოლლი შვილებით აუწყებენ ნათესავთ მეგობართ, რომ კვირას 24 აგვისტოს გადახდილი იქნება ძვირფასი ძმის

**ივანე ნიკოლოზის ძის ვასილიევის**

სულის მოსახსენებლად—წირვა და პანაშვიდი—პირველის მამა და მეორეს სიმამრის. არქიელის გორაზედ გოქოურის სასაფლაოზედ—წირვა დაიწყება 10 საათზედ და პანაშვიდი 12 საათზედ. 1—1.

---

## სავაჭრო სახლი

წილით („პაით“)

**„ვ. ი. ბეჟანეიშვილი, ნ. გ. გამრეკლიძე და ამხ.“**

ქ. ქუთაისი აგვისტო 1919 წ.

მ. ხ.

გვაქვს პატივი გაუწყოთ, რომ სავაჭრო სახლი „განახლება ვ. ბეჟანეიშვილი და ამხ“., მდგომარე წლის 13 აგვისტოდან გადავიდა ამხანაგობას სახელზედ და მომავალში აწარმოებს ვაჭრობას შემდეგი ფირმით

**„სავაჭრო სახლი ვ. ი. ბეჟანეიშვილი, ნ. გ. გამრეკლიძე და ამხ.“**

და გთხოვთ უმორჩილესად იგი არ დასტოვოთ უყურადღებოთ. ყოველივე დავალება იქნება სწრაფად და რიგიანად შესრულებული.

პატივისცემით გამგეობა: თავმჯდომარე ი. პურადაშვილი.

წევრები: პ. უზნაძე, ნ. კილასონია.

გამგე დირექტორები: ვ. ბეჟანეიშვილი, ნ. გამრეკლიძე.

---

## მასწავლებელთა კოლეგიის გიმნაზია.

### (უფლებებით)

ამით აცხადებს, რომ წელს გაიხსნა მეშვიდე კლასი. თხოვნების მიღება გრძელდება. მისაღები და განმეორებით გამოცდები დაიწყება 8 ენკენისთვეს (ახალი სტილი) სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვეს. მეხუთე კლასში უმაღლესი პირველი დაწყებითი სასწავლებლის კურს დამთავრებულები გამოუცდელათ მიიღებიან. სუსტ მოწაფეთათვის საღამოთი გაიმართება უფასო რეპეტიციები.

მისამართი. ოლდენბურგის ქუჩა. რეალურ სასწავლებელთან

6—1 **მასწავლებელთა კოლეგია**

---

## განცხადება.

კვირას, 24 მარიამობისთვეს დილის 12 საათზე ყოფილ მიმწოდებელ კომიტეტის საწყობში (პავლოვის ქუჩა, ციხის პირდაპირ) დანიშნულია

# საჯარო ვაჭრობა.

**გასვრილ-დასოლებულ შაქარზე, და ფეხსაცმელების საძირე ტყავის ნაკუწებზე.** გაჭრობაზე მსურველმა ფასები უნდა წარუდგინოს დახურულ კონვერტებში იქვე, კვირას დილის 11 საათამდე.

საქონლის დათვალიერება შეიძლება ყოველდღე 9—11 საათამდე.

**დასავლეთ საქართველოს ერობათა კავშირის პრეზიდიუმი.** 3—3

---

## საქართველოს რესპუბლიკის

### სამხედრო სასწავლებელი აცხადებს:

პირველ სექტემბრიდან თბილისში იხსნება სამხედრო სასწავლებელი განყოფილებებით: ქვეითა ჯარისა, საარტილერიო, ცხენოსან ჯარისა და საინჟინერო. სასწავლებელში მიღებულ იქნებიან ახალგაზდანი წლოვანებით 17—25 წლ.

მსურველთ თხოვნა სამხედრო სასწავლებლის უფროსის სახელობაზე უნდა შემოიტანონ და დაურთონ შემდეგი დოკუმენტები: 1. მოწმობა ჯარის კაცთა გამწვევ უბანზე მიწერის შესახებ, 2. ატესტატი საშუალო სასწავლებლის სწავლის გათავებისა, 3. მოწმობა იმის შესახებ, რომ არ ყოფილა მიცემული სამართალში, 4. მეტრიკული მოწმობა და 5. ერთი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი.

სწავლა ქართულ ენაზე იქნება—ქართული ენის ცოდნა აუცილებელია.

---

## საზავო კონფერენცია და ჩვენ.

ევროპიდან მიღებული უკანასკნელი დეპეშის ცნობით საერთაშორისო კონფერენციამ ფაქტიურად მუშაობა უკვე შესწყვიტა.

კონფერენციის მეთაური ლოიდ ჯორჯი ლონდონს გაემგზავრა, ვილსონი ვაშინგტონშია და კლემანსო ვანდეაში.

ლოიდ ჯორჯი, ვილსონი და კლემანსო იყო რომ საერთაშორისო კონფერენციას მესაჭეობდენ და რომლესაც იმათმა პარიზი დასტოვეს, კონფერენციის მუშაობაც შეწყდა.

არ ვიცით, ჯერ ცნობები არ არის თუ როდის განახლდება კონფერენციის მუშაობა, მაგრამ ჯერ კონფერენციის მიერ ნაშრომის საბოლოვო რატიფიკაციაც არ მომხდარა. ამ რიგად ძალა არა აქვს იმ ნაზიჯებსაც, რომელიც დღემდის პარიზის კონფერენციამ გადადგა.

მაგრამ ეს შეეხება დიდ სახელმწიფოებს, რომელთაც ერთმანეთში უთანხმოება აქვთ და დიდ როლს თამაშობდენ ვერსალში.

ამიერ-კავკასიის ერთა და კერძოთ საქართველოს საკითხი, რომელიც კონფერენციას უნდა გაერჩია ჯერ არ დასმულა განსახილველად და კონფერენციამ მუშაობა კი შესწყვიტა.

ეს გარემოება კერძოთ ჩვენს პოლიტიკურ მდგომარეობას ართულებს. ჩვენი არსებობის გამოურკვევლობა კიდევ უფრო ღრმავდება და ეს ხდება მაშინ, როდესაც გარეშე მტერთა ურდოები შემოსევას გვიქადის; შიგნით კი ბოლშევიკური ორგანიზაციები მაგრდება, რაც გარეშე მტრებზე უფრო მავნებელია სახელმწიფოს ნორმალური ცხოვრებისათვის.

ჩვენი არსებობის ერთად ერთ გამამტკიცებელ საშუალებად პარიზის კონფერენციას ვსთვლით, სადაც ჩვენ უკვე მოგვეპოვება დელეგატები. საზავო კონფერენციის ხმას შეეძლო უმთავრესად შეეჩერებია ჩვენი მტრები კიდეც აეძულებია ისინი რომ ჩვენი დამოუკიდებლობა ეცნოთ, მაგრამ ეს იმედი, თუ სულ არა, დროებით მაინც გაქარწყლებულია.

სანამ საზავო კონფერენცია ჩვენს საკითხს განიხილავდა, ჩვენ იმედი გვქონდა მოკავშირეების სამხედრო ძალის, რომელიც ჩვენს ტერიტორიაზე არის დაბანავებული, მაგრამ ინგლისელები აქაურობას უკვე სტოვებენ. ჩვენს მტრებს ეს უხარიათ. ინგლისელების წასვლის მოლოდინში მოხალისეები ბაქოს უახლოვდებიან. ბათომში დენიკინის აგენტები სამხედრო პირების რეგისტრაციასაც კი ახდენენ და დროს უცდიან, რომ მობილიზაციაც გამოაცხადონ.

მოხალისეების შემოტევა ჩვენზე განხორციელდება თუ მათ წინ ისეთი ძალა არ აღუდგა, რომელთაც ანგარიშსაც უწევენ და შიშიც აქვთ.

ასეთ ძალად რასაკვირველია ჩვენ ერთის მხრით საზავო კონფერენციას ვსთვლიდით და მეორეს მხრით ინგლისელებს. საზავო კონფერენციამ მუშაობა უკვე შესწყვიტა, ინგლისელები მიდიან და ჩვენი მდგომარეობაც გამოურკვევლობას თავს ვერ აღწევს.

ამ ჟამად თბილისში იმყოფება კონფერენციის უმაღლესი წარმომადგენელი პოლკ. ჰასკელი, მაგრამ ჯერ გამოურკვეველია თუ რა დავალება აქვს მას და როგორი მფარველობა შეუძლია გაგვიწიოს ჩვენ.

ყოველ შემთხვევაში პოლკ. ჰასკელის ხმას დიდი გასავალი ექნება და ჩვენი მთავრობა უნდა შეეცადოს რომ მასთან კარგი დამოკიდებულება იქონიოს!

მეტი გზა არ არის და სანამ ვერსალის კონფერენცია განახლდებოდეს, ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა და თავისუფლება შევინარჩუნოთ.

---

## ამერიკული სისტემა.

შრომის კანონმა იმდენად გააძნელა მუშაობის პირობები, რომ საჭირო შეიქნა ახალი იურიდიული ურთიერთობა კაპიტალისტებსა და მუშებს შორის.

ყველას ეშინია დაქირავებული მუშის, ვინაიდან კანონი ყოველგვარ უპირატესობას ანიჭებს მას.

რა კი ვინმე მუშას დაიქირავებს, გაუძნელდება მისი დათხოვნა: იმდენი სალიკვიდაციოს გადახდა დასჭირდება, რომ ვერ აუდგება.

ეგრეთწოდებული შემარიგებელი კამერები, რომელთა თავმჯდომარეებადაც სოციალისტები არიან, ყოველთვის მუშებს ამართლებენ.

მუშათა პროფესიონალური კავშირები ნებას არ აძლევენ თავისუფალ მუშებს იმუშაონ გაფიცულების მაგიერ.

ცხადია, ამ იურიდიულსა და ეკონომიურ პირობებში კაპიტალისტური წარმოება—შეუძლებელია. იმავე დროს ეს წესი ორივე მხარესთვის საზარალოა.

ამიტომ კაპიტალისტებმა და მუშებმა სხვა გამოსავალი იპოვეს და ეგრეთწოდებული ამერიკული სისტემა შემოიღეს.

კაპიტალისტს მუშა ანუ მუშაკი კოოპერატივი ამხანაგად შეჰყავს და მოგებას უნაწილებს.

ამგვარი ხელშეკრულობის ძალით მუშა ამხანაგია და არა დაქირავებული და მაშასადამე, კაპიტალისტსა და იმას შორის სოლიდარობა, ერთობა, უზრუნველყოფილია.

მუშას ქირა არ ეძლევა და, თუ გაიფიცა, ვეღარც პატრონს მოსთხოვს რასმე და ვეღარც კაპიტალს.

მაშასადამე კაპიტალისტი მუშათა გაფიცვებისაგან უზრუნველყოფილია.

შეუძლია თუ არა მთავრობას შეებრძოლოს ამ სისტემას? არა, ვინაიდან ეგ იქნებოდა ბრძოლა არა მარტო კაპიტალებთან, არამედ მუშებთანაც.

ამგვარად საერთო საქმეს, რომელიც აკავშირებს მუშებსა და კაპიტალისტებს, სძლია სოციალისტების გამთიშველი, გადამკიდებელი პოლიტიკა და კაპიტალისტები და მუშები კიდევ უფრო შეაერთა, შეაკავშირა.

მართალია, ეს შეკავშირების პროცესი ჯერ მხოლოდ იწყება, მაგრამ უეჭველია, განვითარდება, რადგან კაპიტალისტებსა და მუშებს შორის ათასჯერ მეტია საერთო, ვიდრე საცილობელი.

დიახ, ვერავითარი ხელოვნური კანონი ვერ შეაჩერებს ამ ბუნებრივ პროცესს.

**ვასილ წერეთელი.**

## მთავარ მომარაგების სამართველოში.

**ფქვილის მიღება.** აზერბეიჯანიდან მთავარ მომარაგების სამართველომ მიიღო 25 ვაგონი ფქვილი, რომელიც განაწილდება ქალაქსა და კერძო დაწესებულებების შორის.

**ჩაის მიღება.** მთავარ მომარაგების სამართველომ მიიღო კარგი ღირსების ცეილონის ჩაი სულ ოცი ათასი გირვანქა. ეს ჩაი სამჯერ ნაკლები ეღირება ბაზრის ფასებზე, ამ დღეებში სამართველო მიიღებს კიდევ 40 ათასი გირვანქა ჩაის ვისოცკის ფირმისას.

**ლურსმეულობის მიღება.** მთავარ მომარაგების სამართველომ მიიღო 11 ათასი ფუთი ლურსმანი, რომელიც ძლიერ ესაჭიროება ამ ჟამად სოფელს, სადაც სამართველო აპირებს გაგზავნას პურზე გადასაცვლელად.

**შაქრის შესყიდვა.** მთავარ მომარაგების სამართველომ შეისყიდა ოცი ათასი ფუთი შაქარი—რაფინადი მარსელის ფირმა „მირზაიანცისაგან“. ეს შაქარი, ამ ორ დღეში შემოვა თფილისში და გაიყიდება გაცილებით იაფად ვიდრე ბაზარზე იყიდება დღეს. დაახლოვებით გირვანქა შაქარი ეღირება 25—27 მანეთი.

**ფართლეულობის შეძენა.** მთავარ მომარაგების სამართველომ ამავე ფირმისაგან შეიძინა დიდძალი ფართლეულობა დაახლოვებით ოთხ მილიონ მანეთისა. საქონელს სამართველო ამ დღეებში მიიღებს თბილისში.

**პურის დამზადება.** პურის დამზადების საქმეს სამართველო ენერგიულათ აწარმოებს. სოფლათ აგზავნის ფართლეულობასა და სხვა საჭირო საგნებს, რომელიც დაეთმობა იმათ ვინც მთავრობას დაუთმობს პურს.

**ყალბი მოწმობანი თამბაქოზე.** ვინაიდან მთავარ მომარაგების სამმართველომ აკრძალა უმოწმობოთ თამბაქოს გაზიდვა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან გაჩნდენ ეთგვარი „მაშენიკები,“ რომელნიც მსურველთ აჯერებენ შეისყიდონ მათგან მოწმობის ნებართვანი ვითომც და გაცემული მთავარ სამმართველოს მიერ. ამის გამო სამმართველოს საქმეთა მმართველი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ყველა ესეთი წინადადებანი ამ ვაჟ[...]ანების მიერ მოტყუებათ უნდა ჩაითვალოს ვინაიდან ნებართვა თამბაქოს გაზიდვის შესახებ სალვარ გარეთ არ შეიძლება გაიცეს სამმართველოს ნებადაურთველათ.

## ახალი ამბავი

### ქუთაისი.

**პარტიული კრება.** კვირას, 24 აგვისტოს, დილის 11 საათზე წყალ გალმა უბანში, ერთვნულ-დემოკრატიული პარტიის წყალგალმა უბნის კომიტეტის ბიუროში შესდგება წყალგალმა უბნის პარტიის წევრთა კრება. მოხსენებას გააკეთებს ბ. ალექსანდრე თორაძე. პარტიის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

✦ **ჩვენი გაზეთის** პროვინციის ხელის მომწერლებს მოვაგონებთ, რომ დაუყონებლივ გამოგზავნონ გაზეთის ფასი.

✦ **ქუთაისის მასწავლებელთა** კოლეგიის საზოგადო განათლების სალამოს კურსებზე მეცადინეობა უკვე დაიწყო. გრძელდება თხოვნების მიღებაც.

✦ **რედაქციამ მიიღო.** გ. წივწივაძის წიგნაკი „ღვარძლი ხორბალში“ წიგნი შეიცავს 32 გვერდს, ნაკლებ ქაღალდზეა დაბეჭდილი, ბევრი კორექტორული შეცდომებია და ღირს 10 მანეთად.

## დეპეშები.

(საქ. დეპ. სააგ).

მარიამობისთვის 21.

### ბოლშევიკური ცნობები:

**მოსკოვი.** აგვ. 20. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

**წითელ საჩუქართა კრება.**

**ყაზანი.** აგვ. 19. 31 აგვისტოსთვის წითელ საჩუქართა დღეა დანიშნული. წინათ დანიშნულ საჩუქრების დღეს 500.000 მანეთი შეგროვდა. ამ ფულით ნაყიდი საჭირო საგნები აღმოსავლეთის ფრონტზე გაიგზავნა. ბერლინი აგვ. 17. ბუდაპეშტის პრესბიუროს ცნობით რუმინიის საოკუპაციო ჯარი აპირებს მთელი დასავლეთი უნგრეთი დაიპყროს.

**რუსეთი გერმანიასთან საომარ განწყობილებაშია.**

**მოსკოვი.** აგვ. 20. ყოფილის სამეფო დიპლომატები, რომლებიც პარიზში სხედან, აცხადებენ, რომ რუსეთი, რომელიც ვერსალის საზავო კონფერენციას არ დაესწრო, უნდა ჩაითვალოს გერმანიასთან ომის გასაგრძელებლად.

**პოლონელთა აჯანყება.**

როგორც კატოვიციდან იუწყებიან, პოლონელებმა ამბოხების მოწყობა სცადეს ბობრიკენსა, ჰოჭენლინდენსა, ლიპინსა, დომბროვსა და სხვა ადგილებში, განსაკუთრებით კი ტისაუს მიმართულებით.

**ბრიტანეთის სამხედრო ძალები.**

**ლონდონი.** აგვ. 13. ქვემო პალატაში ჩერჩილმა ბრიტანიის სამხედრო ძალების შემცირების შესახებ განაცხადა, რომ ბრიტანიის რეინის ჯარის რიცხვი ერთ ბრიგადამდე შემცირდება. იმედი აქვთ, მესოპატამიაში ეგვიპტეში და პალესტინაში საჭირო ჯარის რიცხვი შეამცირონ [...] სამაგიეროთ ჯავშნიან ავტომობილებ[...] აეროპლანებს და ტანკებს გაგზავნიან.

**კურლიანდიის დაცლის ვადა.**

**პეტროგრადი,** აგვ. 10 გერმანელებს კურლიანდიის დაცლის ვადა გაუგრძელეს 28 აგვისტომდი.

**პოზნანში და სილეზიაში.**

ნაუენის რადიოს სურს, სპარტაკელები გამოიყვანოს სილეზიაში მომხდარი უთანხმოების დამნაშავედ მათი სიტყვით, მთავრობის ჯარს ზოგიერთ ადგილას საფრთხე მოელის. სილეზიაში და დასავლეთ პოზნანში საალყო წესებია შემოღებული.

**ჩრდილოეთის ფრონტი.** მურმანის რკინის გზ. გასწვრივ ბრძოლაა. მდ. სუხუზე ჩვენი შეტევა გრძელდება.

## სომხეთი.

### სოფ. კულფის აღება.

„ჟოღოვორდი ძაინის“ ცნობების თანახმად სოფელი კულფი მაჰმადიანებმა აიღეს იგდირის მოსახლეობა ამის გამო დიდ შიშს განიცდის და გადასახლებისათვის ემზადება.

**იგდირის გარემოცვა.**

იმავე გაზეთის ცნობით, იგდირი ადგილობრივ მაჰმადიანთა მიერ გარემოცულია. ერევნიდან ავტომობილებით მცირე ჯარი გაიგზავნა, მაგრამ მოსახლეობა გაგზავნილ ჯარის სიმცირის გამო ეჭვობს, რომ ეს ჯარი რამეს უშველის.

**ბეუქ-ვედის გარშემო.**

ბოლო ხანებში, როგორც გადმოგვცემს გაზ. „ჟოღოვორდი ძაინი“, სუმბათის მეთაურობით, ოსმალეთის სომხებმა ათას ხუთასიანი ჯარი შეაგროვეს და თავს დაესხა ბეუქვედს, და რამდენიმე პოზიცია აიღო.

მაშველი ჯარის მისვლა მეტად დაეხმარა და მაჰმადიანებმა უკანვე აიღეს, როგორც ძველი პოზიციები, ისე ახალი ადგილებიც. როგორც ამბობენ სუმბათის ჯარს დიდი ზარალი მიეცა.

**ჰამაზასპის ჯარი.**

ახალ ბაიაზეთის ახლო სოფლიდან მაჰმადიანებს ათასზე მეტი ცხვარი გაერეკათ და ორი ოჯახი ამოუხოციათ. ამაზე ამაზასპი ავტომობილით სწრაფად გაემგზავრა ახალ-ბაიაზეთისკენ. უკანასკნელ ცნობების თანახმად ჰამაზასპმა შეადგინა ორ ათასიანი ჯარი და შარურისკენ გაემგზავრა.

(„ჟოღ. ძაინ“).

**დავალუს მცხოვრებთა გადასახლება.**

სოფ. დავალუს მცხოვრებელმა შუა ღამეს მიატოვეს მთელი თავისი ქონება და ერევანში გაიქცნენ. ერევანში ლტოლვილები არ შეუშვეს, ამისათვის ახალ-ბაიაზეთის მხარეს დასახლდნენ.

(„ჟოღ. ძაინ“).

## ამიკუს პლატო სედ მაგის ამიკა ვერიტას.

(მიყვარს პლატონი, მაგრამ უფრო მეტად სიმართლე) ამ რამოდენიმე კვირის წინ პატივცემულ გაზეთ „ჩვენ ქვეყანაში“ მოთავსებული იყო ბ. დ. მხეიძის განცხადება: ქუთაისის 1-ლი საერთო განათლების კურსები (უფლებებით) გამოცდები სამწიფის მოწმობის მისაღებად (მესამე ვიპუსკი sic!) უკვე დამთავრდა და სხვ. ვერ გაგვიგია რად დაჭირდა ბ. მხეიძეს 1-რველობის სახელით მონათვლა ჯანელიძის შენობაში მოთავსებულ კურსების. თუ ის გულისხმობს ამ კურსებზე სწავლა-აღზრდის მხრივ პირველობას, ამაზე ჩვენ ჯერ-ჯერობით არას ვიტყვით, ხოლო რაც შეეხება კურსების გახსნის პირველობას დროის მიხედვით მოვახსენებთ საზოგადოებას, რომ ბ. მხეიძის კურსები ამა წლის მარტში გაიხსნა, მასწავლებელთა კოლეგიის კურსები კი უკვე მესამე წელიწადია რაც არსებობს. სიმართლის აღსადგენათ ჩვენ საზოგადოებას განუმარტავთ კოლეგიის კურსების კურიკულუ ვიტეს. 1917 წელს ზაფხულში ბ. მხეიძემ და მასთან ერთად რამოდენიმე მასწავლებელმა ქუთაისში კოლეგიის სახელზე ყოფილ სათავად-აზნაურო გიმნაზიის შენობაში საზოგადო განათლების სალამოის კურსები გახსნა; ამავე წლის ოქტომბერში ამ კურსებზე მოხდა პირველი „ვიპუსკი“; 1918 წელს მარტში თანახმად სამოსწავლო კომისარიატის დადგენილების მეორე ეგრედ წოდებული „დოსროჩნი ვიპუსკი“ მოხდა. შემდეგ ამ მეორე „ვიპუსკისა“ ამხანაგების ნება დაურთველად და დაუკითხავად 1918 წელს ივნისის 30-ს ყოფილ კომისარიატისთვის ბ. მხ[...]ძეს მიუღია შემდეგი შინაარსის თხ[...] Кутаисскiе, общеобразовательние, подютовительные курсы, открытые и разрѣшенные колегiи преподавателей, прошу именовать общеобразовательные курсы Д. С. Мхеидзе. ეს თხოვნა შეცდომით დაკმაყოფილებულ იქნა კომისარიატის მიერ იმავე წლის 6 ივლისს თხოვნიდან ცხადად სჩანს, რომ კურსები კოლეგიას ეკუთნოდა და არა პირდაპირად ბ. მხეიძეს; რომ კურსები პირადად ბ. მხიძეს არ ეკუთნოდა ამას ის გარემოებაც მოწმობს, რომ მეორე „ვიპუსკის“ მოწმობებზე პირდაპირ სწერია: курсы, находящiеся въ заведыванiи Д. С. Мхеидзе არც ამ თხოვნის მიცემა, არც პასუხი ბ. მხეიძეს ამხანაგებისთვის არ გაუმხელია, თუმცა პასუხის მიღების შემდეგ შვიდი თვე გავიდა. თხოვნის შინაარსი და მისი პასუხი კოლეგიამ მხოლოდ იანვარში გაიგო, როდესაც ერთ-ერთ კოლეგიის წევრს კურსების საქმეების გამო მოუხდა თბილისში ყოფნა. გარდა იმისა რომ ბ. მხეიძის ამნაირი მოქცევა ამხანაგებისადმი კოლეგიას საწყენად დაურჩა, იგი ხედავდა, რომ კურსებზე მეცადინობა ცუდად მიდიოდა და მსმენელთა შორის უკმაყოფილება თანდათან იზრდებოდა; ამას მოწმობს 29 დეკემბრის 1918 წლ. ოქმი, რომელშიაც ნათქვამია, რომ თუ კურსების გამგეობა კოლეგიის ხელში არ გადავიდა როგორც სწავლა აღზდის მხრივ, ისე, საოჯახო ნაწილის მხრივ, მთელი პედაგოგიური, საბჭო გადადგება სამსახურიდან; ამ ოქმს ხელს აწერს მთელი კურსების კორპორაცია, რომელიც 11 მასწავლებლისაგან შესდგება. შემდეგ ამისა კოლეგია იძულებული შეიქნა მიეღო კანონიერი ზომები, რათა გამგებლობა და საოჯახო ნაწილი ჩამოერთმეოდა ბ. დ. მხეიძეს; და აი 1919 წელს იანვრის 18-ს, № 331 განათლების სამინისტროს საბჭოს დადგენილებით მას ჩამოერთვა ყოველივე უფლება კურსებისადმი და თანახმად კომისარიატის პირველი დადგენილებისა აღდგენილ იქნა კოლეგიის კურსების უფლებები. ამ დღიდან ბ. მხეიძეს მოსვენებას არ აძლევს ახალი კურსების გახსნის სურვილი; ახალი კურსების გახსნის უფლება მან მიიღო, და აი 1919 წ. თებერვლის თვის ადგილობრივ გაზეთებში ვკითხულობთ განცხადებას, რომ იგი თბილისის ქუჩაზე დ. ჯანელიძის შენობაში ხსნის კურსებს. რა მიზეზებმა შეუშალა ხელი თბილისის ქუჩაზე კურსების გახსნას, ჩვენ არ ვიცით, ხოლო, იგი მარტში ხსნის რეალურ სასწავლებლის შენობაში ვითომდა „პროფესორების“ კურსებს.

რამდონათაც ჩვენ ვიცით საზოგადო განათლების სალამოის კურსები თბილისში აქვს გახსნილი პროფესორებს ბ. ბ. დ. უზნაძეს, გ. ახვლედიანს და ვგონებთ შ. ნუცუბიძეს. ამბობენ, რომ, სანამ ბ. მხეიძე, იძულებული [...] რეალურ სასწავლებლიდან [...] შენობაში კურსებ[...] კიდევაც ჩამოუვლია ერთი პროფესორი, რომელსაც ლექციაც ვითომ წაეკითხოს ბ. მხეიძის კურსების მნიშვნელობის შესახებ. არ ვასახელებთ ამ პროფესორს (ნომინა ოდიოზა) ხოლო საბუთებიც დეპეშები და წერილები ხელთა გვაქვს და ვიცით, რომ ბ. ბ. უზნაძეს და ახვლედიანს არც გახსნა-მოწყობა და გამგეობა მიუნდვიათ ბ. მხეიძისათვის და არც არავითარი კავშირი აქვთ მის მიერ გახსნილ კურსებთან.

(დასასრული ხვალ)

**მასწავლებელთა კოლეგიის კურსების გამგე მიხეილ ომ. ჩინჩალაძე.**

## კოოპერატივების წარმომადგენლების და საზოგადოების და რიგ წევრების საყურადღებოთ:

ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობამ მიიღო თბილისიდან ორიათასი რწყვილი თეთრეულობა, რომლებისგანაც გადაეცა პირველათ ხუთასი და მეორეთ ათასი, თლათ კი 1500 რწყვილი; ცხრა თუმნად რწყვილი, მხოლოდ ერთს კოოპერაციის დუქანს, სადაც გაიყიდა ერთი კვირის განმავლობაში მოგებით პირველათ 500 რწყვილის 15 მანათისა რწყვილზე და მეორეთ 1000 რწყვილის 20 მანეთისა რწყვილზე. თუმცა მე, როგორც თავმჯდომარემ წვანეყვავილის საზოგადოების კოოპერატივის „დახმარება“ს გამგეობისა და ჩემთან ერთად გამგეობის წევრმა ბ. ცირდილაძემ ვსთხოვეთ პირველად 8 აგვისტოს სიტყვიერათ და მეორეთ 9 აგვისტოს ამა 1919 წლისა ოფიციალურად № 80, მოცემა ნაღდ ფულზე ასი რწყვილი საცვალი დასარიგებლად იაფ ფასში ჩვენდამო რწმუნებულ საზოგადოების ღარიბ წევრებთათვის, მაგრამ არამც თუ ჩვენი თხოვნა არ დააკმაყოფილეს, არამედ ზემოხსენებული ერობის ქონების საწყობის მმართველმა ბ. კანდელაკმა, რომელიც იმავე კოოპერაციის გამგეობის წევრია, 13 აგვისტოს უშვერი სიტყვით გამლანძლვა და შეურაცხოფა მომაყენა უდანაშაულოთ რისთვისაც მე ვითხოვ ბ კანდელაკს სამედიატორო ებათ ჩემის მხრით ვარხელებ ბ. ბ. ზაქარია მაჭავარიანს და ხარიტონ ფაჩულიას.

**ფ. მგალობლიშვილი**

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ პატივცემულ გაზ. „ჩვენი ქვეყანაში“ მოვათავსო შემდეგი ბ-ნ დ. ს. ლოლობერიძესვიწვევ სამედიატორო სასამართლოში იმ უღიერ შეურაცყოფისათვის რომელიც მან მომაყენა. ბ-ნო დავით! თქვენ გამოგიწვიეთ სამედიატორო სასამართლოში ორშაბათს კოსტანტინე კახიანის მეოხებით, მაგრამ უარი მივიღე და სასამართლოში არ გამყვებით. მეორეჯერ კიდევ დავაბარე ბ-ნ კახიანს, რომელმაც ხუთშაბათს სალამოს გადმომცა, რომ ბ-ნი დ. ლოლობერიძე არ თანხმდება სასამართლოზეო.

ეხლა ჩვენ შორის ატეხილია დავა გამოწვეული თქვენ მიერ გადმომაქვს პრესაში და კატეგორიულათ გიცხადებთ, რომ გიწვევთ სამედიატორო სასამართლოში და სასამართლოს წევრებად ვასახელებ ჩემის მხრივ ბ-ნ ალექსანდრე თორაძეს და მიხეილ მიქაბერიძეს. პასუხისათვის და თქვენის მხრივ სასამართლოს წევრების დანიშნისთვის გაძლევთ ორი დღის ვადას დღეის რიცხვიდან.

**ნიკ. ახვლედიანი.**

**რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.**

ქუთაისი, სტამბა „ძმობა“, პუშკინი ს[...]ჩა, სახლი ძმ. ბ ერუჩაშვილებისა.